საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990
სამშაბათი
12
ივნისი
№69 (10306)
ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

აქტუალური რუბრიკა: ავიცდინოთ ეკოლოგიური საფრთხე

## ვიბრძოლოთ სუფთა გარემოსათვის

ინდიელთა ძველი ნათქვამია: „ბუნება კი არ ეკუთვნის ადამიანებს, ადამიანები ეკუთვნიან ბუნებას“. შეუძლებელია ამ სიტყვებში ჩადებულ აზრს ჩაუფიქრდე და სრული სიმძაფრით, ტკივილის შეგრძნებამდე არ გაითავისო გარემოს სისუფთავის აუცილებლობა. დღეს მცხოვრებ ადამიანს ათასნაირი გაჭირვება დაატყდა თავს. აქეთ სოციალური პრობლემების ზღვარდაუდები მწკრივი, აქეთ კიდევ უთვალავი ეკონომიკური სიძნელე, ზნეობრივი ღირებულებების გადაფასების უმკაცრესი ჟამი. ვერა და ვერ დაცხრა სისასტიკის ტალღა, რომელიც ხანდისხან ცხრა ბალის ძალით ბობოქრობს ეროვნულ, მეტწილად ცალკეულ ადამიანურ, ყოფით ურთიერთობებში. ერთი სიტყვით, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნებისმიერ ჩვენგანს უსაფრთხოება სტრესული სიტუაცია. მაგრამ ამ საოცრად დაძაბულ დროში სხვაზე მეტი სივერაგით მაინც ეკოლოგიური პრობლემა გვიტევს. სატკივარი, რომელიც უწყვეტ, მუდმივ ყურადღებასა და სიფხიზლეს, საგანგებო ვაზტის გრძნობას მოითხოვს.

ზუსტად აქვს მინიშნებული ერთ გონებამახვილ მეცნიერს: „ბუნებას თუ გონივრულად არ მოექეცი, იგი მომაკვდინებელ დარტყმას მოგაყენებსო“. რამდენჯერ გვსმენია, ან დაწერილა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ხანაში ბუნებასთან შეჯიბრი კი არაა გასამართი, არამედ ნამდვილი თანამშრომლობა. გონიერნი ამ გეზს მიყვებიან და კეთილ შედეგებსაც იმკიან. მაგრამ . ჩვენდა სავალალოდ ლეგიონია მათი რიცხვი, ვინც გარემოს უდიერად, ყოველგვარი ადამიანური, თუ მამულიშვილური პასუხისმგებლობისაგან განძარცული ეკიდება. ეს კი იწვევს მის გადატაკებას, მოუთმენელი ანტისანიტარიის კერების გაჩენას. რომელ ჩვენგანს არ შედომებია გული ამდაგვარი კერების დანახვისას. დაუკვირდით ასეთ ფაქტს: თითქოსდა წვრილმანია, იტყვის კაცი, მაგრამ სინამდვილეში განგაშის ზარების ჩამოსაკრავი შტრიხი გახლავთ. ადგება მავანი, ათასგვარი საოჯახო ნარჩენებით ვედროს გაავსებს, თავისი ჭიშკრის წინ ორმოს დაიგულებს და შიგ ჩაყრის. ქალაქის მცხოვრებთა არცთუ ისე მცირე ნაწილი პირდაპირ სახლის წინ გადმოაპირქვავებს ხოლმე სხვადასხვა სამშენებლო ნარჩენებს, ათასნაირ ხარახურას. დრო გადის, ეს ავადსაცქერი ზვინები კი ანტისანიტარიულ კერებად ქცეულა. არხეინად აუვლ-ჩაუვლის ამ უმსგავსობას ყველა, დაწყებული ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარიდან უბნის ინსპექტორით დამთავრებული. გამკითხავი კი, არა და არა ჩანს. ისეთი ვინმე, ვინც თავის მეზობელს განზე გაიხმობს და კეთილმოსურნე პირის პოზიციიდან ეტყვის: არ გეკადრება, ჩემო კეთილო ასეთი რამ. ასეთი საქციელით ხომ იმ ტოტს ჭრი, რომელზედაც ვზივართ?

ახლა ქალაქის ცენტრში გამავალი მდინარე ჩხოუშის ავიღოთ. სამწუხაროდ, კი არ მიედინება, სალოდავად მიღოღავს. არადა, ამ ოცდაათიოდე წლის წინათ მის კრიალა ტალღებში ტანს იგრილებდნენ დასიცხული ბიჭები, თევზის ჭერითაც თავს იქცევდნენ. მერე მოვიდნენ გულქვა კაცები, მისი ჩრდილვენილი ფშანები მიხხვ-მოხხვეს და ზედ ათასგვარი სახელოსნო, წერტი, თუ სამრეწველო აღმართეს. დღეს ისინი ქალაქის ლანშალტს, მის მოსახლეობას ენით უთქმელ ზიანს აყენებენ. აი, ბუნების დაცვის სპეციალური ინსპექცია მათ თვითნებობას რომ კანონის მთელი სიმკაცრით აღკვეთდეს, საშვილიშვილო საქმე გაკეთდება.

ახლა ჩაიხედეთ ამ მკვდარი მდინარის კალაპოტში, მის კიდეებზე. რას არ ნახავთ შიგ. თვალი უხალისოდ გადაირბენს სიბინძურისა და სიმახინჯის ამ „თაიგულზე“, ხოლო გულღვიძლს ცეცხლივით წაეკიდება აბსოლუტური გულგრილობა იმ ვაიზუგდიდელებისა, ვინც აქაურობას სიცოცხლის, სილამაზის ნიშან-წყალიც კი არ შეარჩინა. ეგ უიმედო პოზიციაა, იტყვის მავანი. რავა გეკადრებათ. აბა, დავუთმოთ მას, ათასგზის ხელნაკრავ და იავარქმნილ მდინარეს კუთვნილი ყურადღება და ვნახავთ, როგორ მოითქვამს სული, სილამაზით და ემხით შეიმოსობს.

სიტყვამ მოიტანა და, ყურადღებისა და ზრუნვის მასშტაბები თანდათან ფართოვდება ჩვენს ქალაქში. სხვადასხვა დონეზე ხელმძღვანელ პირებს დაევალათ შეფობა გაუწიონ ცალკეულ ქუჩებს, მიკროუბნებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის განმტკიცების მიზნით. მაგალითად ბოტანიკური ბაღისადმი დახმარების ღონისძიებებმა უფრო კონკრეტული სახე მიიღო. აქ გარკვეული სამუშაოები განხორციელდა არსებული ტერიტორიის კეთილმოსაწყობად. სამეცნიერო დაწესებულების მცირერიცხოვან კონტინგენტს მძლავრ ენერგიად შეერწყა შეფი ორგანიზაციების ძალისხმევა ამ ისტორიული, უნიკალური განძის მაღალ ესთეტიკურ დონეზე წარმოსაჩენად. შემუშავებულია ღონისძიებათა მთელი კომპლექსი მუზეუმის ტერიტორიის სრულ წესრიგში მოსაყვანად. ეს ტრადიციული კერა უნდა იქცეს იმ მიმზიდველ ადგილად, სადაც სტუმარსაც და მასპინძელსაც შესაძლებლობა ექნება შინაგანი სიამოვნება მიიღოს და კანონიერი სიამაყის გრძნობითაც აღივსოს. მაგრამ ჩვენდა სავალალოდ, ესთეტიკურად მოწესრიგებულ ადგილებს ჩვენს ქალაქში გულის დამაღონებელი, ანტისანიტარული კერები ჭარბობს. მთელი ქალაქისათვის ნაგავსაყრელად ქცეულა სამედიცინო ნაკეთობათა მშენებარე ქარხნის მიმდებარე ვრცელი ტერიტორია. ამ მხრივ საწარმო-დაწესებულებებს ტოლს არ უდებენ ახლო-მახლო მცხოვრებნიც. ანალოგიური მდგომარეობაა პარიზის კომუნის ქუჩაზე აშენებული ახალი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტოლსტოის, მარჯვენა სანაპიროს ქუჩებზე. ვერაფრით ვერ განეწყობი სიმპათიით ჩელუსკინელების, ბუკიას ქუჩაზე მდებარე საერთო საცხოვრებელი სახლების მობინადრეებისადმი, რომლებიც არ იცავენ სანიტარულ-ჰიგიენურ რეჟიმს თავიანთ ეზოებში. გაოცებას იწვევს ქალაქის რიგი ორგანიზაციების, კერძოდ № 1 ჩაის ფაბრიკის, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის, ჩაის [illegible], „ზუგდიდვაჭრობის“ სამმართველოს და ზოგიერთი სხვა კოლექტივის ხელმძღვანელთა, ზემოთ დასახელებული და სხვა ქუჩის კომიტეტების თავმჯდომარეთა დამოკიდებულება თავიანთ სამოქმედო უბნებზე თავჩენილი ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებისადმი.

ქალაქის მოსახლეობა მეტ შემართებას, სამუშაოთა უფრო უკეთ კოორდინირებას ითხოვს საბინაო-კომუნალური მეურნეობის კეთილმოწყობის კომბინატის ხელმძღვანელობისაგან.

როცა ადამის ძის გულგრილობით ხელყოფილ გარემოს უცქერი, ერთი იუმორისტის ხუმრობით ნათქვამი სიტყვები გაგონდება: „რაც ჩვენ ბუნებას ვუყავით, ამის შემდეგ შეუძლებელია მისგან მოწყალებას დაელოდო“. მწარე, სკეპტიკური დასკვნაა. მაგრამ ბოლომდე ვერ დავეთანხმებით. ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული როდია. ხსნის გზა მაინც არსებობს და იგი შორს, ცხრა მთას იქით მოსაძიებელი როდია. იგი ყოველი ჩვენგანის პასუხისმგებლობაში დევს. ყველამ, უკლებლივ ყველამ, იქნება ხელმძღვანელი, თუ რიგითი მუშაკი, სულიერი და ფიზიკური ძალების სრული გაღებით უნდა ვიღვაწოთ მშობლიურ ქალაქში ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს შექმნისათვის.

გვახსოვდეს, ამით ჩვენ და ჩვენს მომავალ თაობას ვაჩუქებთ ჯანმრთელობას, გავუხანგრძლივებთ სიცოცხლეს!

## მოიჯარეთა წარმატება

დარჩელის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ფერმის მუშაკები კარგა ხანია იჯარული მეთოდით მუშაობენ. ჩანს მისი სიკეთეც. ყოველწლიურად იზრდება ხორცის წარმოება, მცირდება პროდუქციის თვითღირებულება.

მეთორმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს იჯარული რგოლის წევრებმა ზ. ბიგვავამ, ქ. კილასონიამ და ბ. ჭანტურიამ, რომელთაც ა. ჭანტურია ხელმძღვანელობს, ერთი ცენტნერი ხორცი 233 მანეთი დაუჯდათ, რაც გეგმიურთან შედარებით 29 მანეთით ნაკლებია.

გაუმჯობესდა ფერმაში დასაქმებულთა სამუშაო პირობები. თითოეულის შრომის საზღაური შარშან 4109 მანეთამდე გაიზარდა.

მოიჯარეები მიმდინარე წელსაც ამრავლებენ წარმატებებს.

## შეუფერხებლად

ჩხორიის კოლმეურნეობაში დღიური კრეფა აღემატება 20-25 ტონას. ნედლეული შეუფერხებლად ბარდება ზედაეწერის ჩაის ფაბრიკასა და ტყაიას მიკრო ფაბრიკას. მცირე მექანიზაციით 25 ჰექტარიდან უნდა მიიღონ 120 ტონა ნედლეული.

1420 ტონა ჩაისათვის ლაშქრობა ძალაში შედის.

შრომის არენდულმა წესმა გაზარდა დაინტერესება, შრომის ორგანიზაცია.

## მოწინავე ბრიგადები

ქართული ჩაის წარმოებაში განმუხურის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივსაც შეაქვს მცირედი წვლილი.

მეთორმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს 150 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა ჩაბარდეს მრეწველობას. დღემდე დამზადდა 45 ტონა ნედლეული. ყოველდღე იკრიფება 3 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

წინ არიან მეხუთე, მეექვსე და მეთხე ბრიგადების წევრები, რომელთაც ხუნტუშა ჭაფანძე, დევიზ ბერაძე და არველოდ შენგელია ხელმძღვანელობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თვალსაზრისი

# სოფლის შუქ-ჩრდილები

სოფელი ერის უძლეველობის ნიშანსვეტია. რამდენმა სისხლიანმა ქარიშხალმა გადაიარა ქართული სოფლის თავზე. გადამთიელმა არაერთხელ გაუჩეხა სათაყვანებელი ვენახი, ბევრის სიცოცხლე ჩააქრო, მაგრამ წმინდა ტრადიციებს, რომლის გარეშე ძნელია მადლიანი ქართველი გლეხის წარმოდგენა, ვერაფერი დააკლო. ვენახის გაშენებით იწყებდა გლეხკაცი სოფლის აღდგენას.

ქართველმა გლეხმა დიდი გზა გამოიარა. ამ ხაუკუნეშიც ბევრი ავმართ-დაღმართი ნახა ამ გზაზე. ახსოვს დიდი გამარჯვებები და არანაკლებ გულისტკენაც. ღმერთი ხწამდა და წმინდად იცავდა ქრისტიანულ ტრადიციებს... მერე დაიწყო ღმერთთან ბრძოლის კამპანია და ნიჰილისტებმა ისეთი დღე დააყენეს ეკლესიას, ხატსა და ჯვარს, რომ თვით შაჰ-აბასსაც შეშურდებოდა. გადაიარა ამ ტალღამ და შთამომავლობას დაუტოვა ნაფუხრევი კულტურის ძეგლები...

ახსოვს სოფელს კულაკებად მონათლული გლეხების აწიოკება, ახი ცხვრის პატრონებმა ჩამუდამოდ რომ დაკარგეს მშობლიური ცა და უმეტეს შემთხვევაში სიცოცხლეც. მერე ზოგმა ათი იმდენი შეიძინა, ვინ მაშინ მოხდა, თორემ ახლა ზოგიერთი ერთ ბუღ-ლვანოზე ხარჯავს მაშინდელ კულაკად მონათლული გლეხის მთელი ქონების ოდენას. მის სახლში კი იმ ლიკვიდირებულის მთელი სახლი თავისი ცხვარ-ძროხით, ხარ-ურმით და კაც-ქალცხით შიგ ჩაეტევა და ადგილიც დარჩება.

...და მყავდა გლეხს ძროხა, ხარი, ცხენი, ქათამი და ინდაური, კატაც და ძაღლიც, ისე როგორც სრულყოფილ ოჯახს შეეფერება. მაგრამ აი, გამოჩნდა ვიღაც ახლის შემოქმედი და გადაწყვიტა ამ ჰარმონიის დარღვევა: სამოციან წლებში გლეხს ცხენი, ხარი და ორთვალა ჩამოართვეს, მოსპეს უპატრონობის ქარსა და მზე-წვიმის მხაზვრალ ხელს გაატანეს.

დარჩა გლეხი გამწევი საქონლის გარეშე. ამას მერე, არანაკლებ „ეფექტური" ღონისძიება მოაყოლეს: გლეხი საკუთარი ძროხის მოვლაში ძალიან დიდ დროს კარგავს, ძროხები ჩამოვართვათ და იმ დროს კოლმეურნეობაში შრომას მოანდომებსო, კოლმეურნეობამ კი უზრუნველყოს რძითა და რძის პროდუქტებით. ზოგ სოფელში მოსაჩვენებლად რძის წერტილიც გაიხსნა. დაიწყო ძეძო ძროხების ლიკვიდაციის ხმაურიანი კამპანია, გადაიხნა ყველა საძოვარი...

შიიდგა გლეხი იმ მყვირალა რძის წერტს, სოფელში დიდი ხმაურით რომ გახსნეს, მაგრამ კოლმეურნეობას ისე უპირდა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმის შესრულება, რომ წერტში გაყიდვა კი არა, ისევ იმ უძროხო მშრომელებს ხოხოგდა რძეს.

გამოხდა ხანი და ხელმძღვანელებმა, ადრე ძროხების ლიკვიდაციის თეორიას რომ ავცირისტებენ, ახლა ძროხების შეძენისაკენ მოუწოდეს უძროხო, უხოსლო, უსაძოვრო და ძროხების მოვლაპატრონობის რწმენადაკარგულ გლეხებს. თავიდან დაიწყო ყველაფერი. ფიქრობდა გლეხი და ველარ გაეგო რა ხდებოდა, როდემდე უნდა გაგრძელებულიყო ასე...

ვაზი ქართველი კაცის მტკიცე ოჯახის შემადგენელი ნაწილია და ღვინო—მისი ცეცხლოვანი ტემპერამენტის და მჩქეფარე ენერგიის წყარო. ნურავინ ეცდება და შეედრება ქართველ კაცს ვაზის სიყვარულში. მიუხედავად ამისა, მაინც გააკვირვა ქართველი კაცი „გამყინვარების ეპოქაში" მევენახეობის განუზომელი განვითარების პროგრამამ. განა შეიძლება მსოფლიოში უნიკალური ვაზის კულტურის შემქმნელ ერს შეეშალოს, სად უნდა ახაროს ვაზი? მაგრამ „გრანდიოზული" პროგრამა შეხაძლებლობაში ვერ ეტეოდა და იქაც დაიწყეს ვაზის გაშენება, სადაც ვაზი არამც და არამც არ იხარებდა. „გრანდიოზულ პროგრამას შედეგიც ანალოგიური მოჰყვა. საქართველო სამი ამხელაც რომ ყოფილიყო, მაინც გაუჭირდებოდა ყურძნის ხელოვნურად გაბერილი გეგმის შესრულება. მოდა, დაემსგავსა ღვინოც გუბის წყალს და რომელ ხარისხზე ან ოქროს მედალზე შეიძლებოდა ლაპარაკი მსოფლიო სარბიელზე?!

ჭერ კიდევ ხუსტაა თავისუფალი სიტყვის ნერგი. მას სისტემატური სათუთი მოვლა და გაფრთხილება უნდა. ახლა კი ამ ნერგს იმდენი ბატონკაცობით განებივრებული მტერი ჰყავს, საშიშია, ფართოდ ტოტების გაშლამდე არ გაახმონ და ძველებურად თეატრალურ ხუტაფორიად არ აქციონ ზედ მიკრული დემოკრატიისა და საჯაროობის მოწოდებით.

ახა, რას უნდა მივაწეროთ ის, რომ ამდენი საიჯარო იჯარაზე გადასვლის მოთხოვნის შემდეგ ზოგიერთ სოფელში კოლმეურნეებს, რომლებიც ჯერ კიდევ „გამყინვარების პერიოდის" ნორმებით მუშაობენ, თვეობით ხელფასი არ მიუღიათ. არადა ყველამ თავისებურად გაიგო კოოპერატივები და საიჯარო იჯარა. ადრე მოხვეჭილი და გადამალული ფულის სუნი უდის ზოგიერთ კოოპერატივს. ფითრიგით რომ მოსდებია საზოგადოებრივი მეურნეობის სხეულს და უშფოთველად სწოვს იმ წვენს, რასაც ადრე კომბინატორები ხელის კანკალით ითვისებდნენ. უბრალო მშრომელ გლეხს კი შეირნაზული დააქვს ქუჩაქუჩა და შრომაში გახარჯულ დღეებს მის გაყიდვას ახმარს; თვითონ რომ მოინდომოს, ვერც კოოპერატივს გახსნის და ვერც იჯარას გაიფორმებს, რადგან ეს არც ისე იოლია... ამ დროს კოლმეურნეობაში ხელფასი ვერ აუღია და ორგანიზაციებიდან, საწარმო-დაწესებულებებიდან მიმაგრებული მუშა-ხელი „ასწორებს" მის ჩამორჩენას.

ალბათ, გულში მწარედ ეცინება გლეხს: მომეცით მატერიალური დაინტერესება და სამოთხედ ვაქცევ, ავაყვავებ სოფელს ისე, რომ კი არ გარბოდნენ, აქეთ დაბრუნებას ისვეწებოდნენ...

დიახ, საჯაროობისა და დემოკრატიის პირობებში დაინტერესების სიომ დაჰქროლა, მაგრამ გაადწევს კი წლების განმავლობაში კარიერისტების, ბიუროკრატების, მედროვე სკამოსნების მიერ გაფუვლ, ყამირ ნიადაგად ქცეულ ჩვენი საზოგადოების ყოფაში?

**თ. როგავა.**

# ვალი უწმინდესი

შვილი ოჯახის სარკეთ იტყვიან, მაგრამ არა მარტო ოჯახის, არამედ სკოლის, მეგობარ-ამხანაგებისა და საერთოდ იმ გარემოს სარკეცაა, სადაც ის ტრიალებს. თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მოზარდი ჯანსაღ ურთიერთობაში იყოს ოჯახსა თუ სკოლასთან, ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ მე მაინც მინდა ერთ საკითხს შევეხო.

ყველა ყველა და სკოლაში განსაკუთრებით უნდა სუფევდეს ჯანსაღი ატმოსფერო. ხშირად გვსმენია, მასწავლებელი მოსწავლეს მაღალ ნიშანს არ ალირსებს, მანამ ეს უკანასკნელი მასთან არ მოემზადება. ისმება კითხვა: თუ მოსწავლემ საგანი არ იცის, უფრო ზუსტად, იმ ნიშანს არ იმსახურებს, რასაც რეპეტიტორობის შემდეგ მასწავლებელი მოუწერს, ნუთუ მხოლოდ პედაგოგისა და მშობელთა შორის „ხელშეკრულების" დადების ანუ შეთანხმების შემდეგ ეხსნება გონება ბავშვს? ეს მე დანაშაულად მიმაჩნია. სწორედ ასეთი „ურთიერთობის" პროცესში მას ინჯდება მოზარდის სული და ეს უკანასკნელი თავიდანვე ეჩვევა ცხოვრების იოლი გზით გავლას, კარგავს რწმენას პატიოსნებისადმი...

გვახსოვდეს, რომ მოზარდებთან ურთიერთობაში ჩვენებს ყველაზე მეტი სიფაქიზე და სიფრთხილე.

**ზ. ბლუიბაია,**
შრომის ვეტერანი.

# ეთნოგრაფთა მე-11 რესპუბლიკური სესია

31 მაისს სამეცნიერო ცენტრი—ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში გაიმართა საქართველოს ეთნოგრაფთა მე-11 რესპუბლიკური სამეცნიერო სესია, სადაც წარმოდგენილი იყო სამეცნიერო მოხსენებები საქართველოს ეთნიკური კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების აქტუალურ პრობლემებზე.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის, სოხუმის, ზუგდიდის სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკები.

საინტერესო მოხსენებათა თემატიკაში შედიოდა „მეგრული „თურის" სოციალური ბუნების ზოგიერთი საკითხი ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული მასალის შუქზე" (მომხსენებელი ს. ზახაია), „ხის ხარატული ნაკეთობანი სამეგრელოში" (ქ. ვაშალომიძე), „ღვთაება ლარ.სას ფუნქციისა და გენეზისის საკითხისათვის" (ზ. თანდილავა), „ხობისა და ჭანისწყალის ხეობებში მდებარე გეოგრაფიული სახელები ზეპირსიტყვიერებაში" (ც. სამუშია), „მასალები საქორწინო წეს-ჩვეულებების ისტორიისათვის ზუგდიდის მუზეუმში დაცული ხელნაწერის მიხედვით" (მ. ჯალაღონია) და სხვა.

გამოსვლებმა სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ყოველი მოხსენების შემდეგ იმართებოდა დისკუსია.

დასასრულ დაისახა სამომავლო ამოცანები, გადაწყდა, საქართველოს ეთნიკური კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების აღდგენა-დამკვიდრების საქმეში უპირველესი ადგილი დაეთმოს პროფესიონალ ეთნოგრაფთა კომპეტენტურ სიტყვას.

# ინერგება ტექნიკური სიახლე

ჩაის ქადალდის წარმოების წამქროში მიღებულია ხაცდელი პროდუქცია ჩაის ქაღალდის მიღების კომპოზიციაში მწებავი ნივთიერების „ლურეზინის" ნაცვლად შეყვანილია „ოლდამინი-115," რომელიც ქაღალდს არ ღებავს წყალში ცხსნადობის თვისებას.

გამოიცა სპეციალური წრძანება სამუშაოს წარმატების წარმართვისა და ტექნოლოგიური რეჟიმის სრულყოფისათვის, რ... თა სრულიად შესწავლილი იქნას ახალი ნივთიერების გამოყენების შესაძლებლობანი.

როგორც სპეციალისტებისათვის ცნობილია, დამხმარე ნივთიერებს „ლურეზინი" უცხოეთიდან გვქონდა შემოგვქონდა. 1991 წლიდან შემოზიდვის დრო მთავრდება, ამიტომ სამამულო წარმოების ქიმიური ნივთიერება „ლურეზინი" ვალდამინით შეცვლება, სადღეღ სპეციალისტებს აწარმოებენ მთავარი ტექნოლოგი ა. ბელქანია, დირექტორის მოადგილე წარმოების დარგში რ. ოყუჯავა, ლაბორატორიის უფროსი ი. ჰანტურია, მეცნიერ-მუშაკი ვ. დუბგაჩოვი და სხვა.

ახალი პროდუქციის წარმოება და მომხმარებელზე მისი მიწოდება ყოვლად დაუშვებელია ჯანმრთელობის სამინისტროს ნებართვის გარეშე, ფხიზლობს ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ნ. მაქაცარია.

**ქ. ფაჩუაშვილი.**

„სახალხო განათლების" ფურცლებზე

# აღიარება: გოგებაშვილის მედალი

—ასეა დასათაურებული პუბლიკაცია, რომელიც „სახალხო განათლებამ" მიმდინარე წლის 1 ივნისის ნომერში დაბეჭდა რესპუბლიკაში აღიარებული პედაგოგის ზუგდიდელი გიორგი ფიფიას შესახებ. წერილს თან ახლავს ფოტოკორესპონდენტ ა. ყუფუნიას ფოტოილუსტრაცია.

—„ქართველი პედაგოგისათვის,—ნათქვამია წერილში, —ყველაზე პრესტიჟული ჯილდო იაკობ გოგებაშვილის მედალი მიიღო ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიის საშუალო სკოლის მასწავლებელმა გიორგი ფიფიამ. ცოტა ადრე ზუგდიდის საზოგადოებრიობამ რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს დაბადების 75 და პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავი აღუნიშნა, გამოვიდა მისი ნაშრომი „ინტერვალთა მეთოდი და მისი გამოყენება საშუალო სკოლის მათემატიკის კურსში", რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს ამ საგნის მასწავლებლებს. მისი ინიციატივით ზუგდიდის მასწავლებელთა დახელოვნების ზონალურ ინსტიტუტთან საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოყალიბდა და მეექვსე წელია ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მე-9 მე-11 კლასების მოსწავლეებისათვის მომავალ ფიზიკოსმათემატიკოსთა სკოლა. თვითონ როგორც ხელმძღვანელი, ამ სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეებს ასწავლის უოვლდგვარო ანაზღაურების გარეშე.

ამაგდარის მეუღლე შუშანა ქუხილავა დაწყებითი კლასების მასწავლებელია. პედაგოგთა ოჯახში აღზრდილმა მშობლების გზას გაჰყვნენ შვილები. ქეთინო, ნაირა და გიგლა ფიზიკასა და მათემატიკას ასწავლიან. ხოლო რძალი ლალი ქანთარია—ქართულ ენასა და ლიტერატურას".

გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქცია ულოცავს რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს იაკობ გოგებაშვილის მედალს და აცვნის: გვიმრავლდეთ ასეთი ტრადიციული ოჯახები.

ჩვენც ვულოცავთ აღიარებას სახელოვან პედაგოგს.

ვუერთგულოთ დედაბუნებას!

# მიმდინარეობს გარემოს დაცვის ერთთვიური

გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილების შესაბამისად როგორც რესპუბლიკაში, ისე ზუგდიდში დაიწყო და მიმდინარეობს გარემოს დაცვის ერთთვიური. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ბუნებისმცოდნეობის შემდგომ გაუმჯობესებას. ამ მიზნით საჭიროა მოვაწყოთ პრაქტიკული, კომპლექსური, ეფექტური ღონისძიებანი. აღვკვეთოთ აკრძალული ადგილებიდან ინერტული მასალების მოპოვება. გავწმინდოთ და გავალამაზოთ საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საწარმო-დაწესებულებების ეზო-კარი, შემოგარენი, ქუჩები, გზატკეცილების, რკინიგზის, მდინარისა და ტყის პირები, სკვერები, ხეივნები, დასვენების ზონები და ხავარგულები.

აღმოვფხვრათ შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების შენახვის, ტრანსპორტირებისა და უგუნური გამოყენების, ფერმებისა და სხვა სამეურნეო კოლექტივებისაგან გაჭუჭყიანების მიზეზები.

განვახორციელოთ დიდი და მცირე მდინარეების, მიწისქვეშა წყლების, შავი ზღვის აუზის გაჭუჭყიანებისაგან აცილების, სასმელი და სამეურნეო წყლის ეკონომიური ხარჯვის ეფექტური ღონისძიებანი, აღვადგინოთ დაკარგული ჭები, წყაროები.

მოვაწყოთ სამრეწველო საწარმოთა გაზგამწმენდი და მტვერდამჭერი დანადგარების ამუშავებისა და გაუმჯობესების კომპლექსური ღონისძიებანი.

შევქმნათ ბრაკონიერთა და ბუნებრივი სიმდიდრეების სპეკულანტთა საჯარო გაკიცხვის ატმოსფერო. გავაკეთოთ ბუნების დაცვის მომწოდებელი დაფები, პლაკატები, ლოზუნგები.

მოვაწყოთ ბუნების დაცვისადმი მიძღვნილი შაბათობა და წარვმართოთ იგი ზემოთდასახული და სხვა აქტუალური ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

გარემოს დაცვის ერთთვიურის მიმდინარეობა აყვანილი იქნება ყოველდღიურ კონტროლზე.

გ. ხუბულავა,
ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე.

კონტროლის კომიტეტიდან გვაცნობეს

## დანაშაულებრივი თვითნებობა

ამა წლის 31 მაისს სახალხო კონტროლის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მუშაკების მიერ შემოწმებულ იქნა ვაჭრობის სამმართველოს ენგურქაღალდკომბინატის №6 თევზის მაღაზიაში ვაჭრობის წესების დაცვის მდგომარეობა.

შემოწმებით აღმოჩნდა, რომ აღნიშნული მაღაზიის გამყიდველი გ. შენგელია 1 მანეთად და 01 კაპიკად ღირებულ გაყინულ თევზს „ოკუნს" მყიდველებს სთავაზობდა 2 მანეთად. აღნიშნულ თევზზე არ იყო ფასი გამოცხადებული.

მაღაზიის საწყობ-მაცივარში აღმოჩნდა 2 ბიდონი ხილის წვენი, რომელიც ამ სავაჭრო ობიექტს არ ერიცხებოდა. არის ანტისანიტარიაც: მიუხედავად იმისა, რომ მაღაზია გრაფიკით ვაჭრობს დილის 9 საათიდან, 10 საათზე იგი დაკეტილი იყო.

შემოწმების მასალები რეაგირებისათვის გადაეგზავნა ქალაქის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს.

## ირღვევა ვაჭრობის წესები

სახალხო კონტროლის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მუშაკების მიერ შემოწმებულ იქნა ვაჭრობის წესები რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანება „სპორტკულტსაქონლის" ზუგდიდის გაერთიანების სათაო მაღაზიის №4 ფილიალში (გამგე ზ. ბუღლია).

შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ამ მაღაზიაში უხეშად ირღვევა ვაჭრობის წესები. სახელდობრ, სამამულო წარმოების 12 მან. და 80 კაპიკად ღირებულ სპორტულ ჩანთაზე ფასი გამოცხადებული იყო 13 მანეთი. სარეალიზაციოდ გამოტანილ ლოტოს კომპლექტზე, სათევზაო ანკესებზე, ფეხბურთის ბურთზე, ჩინური და ჩეხური წარმოების სპორტულ ფეხსაცმელებზე არ იყო გამოცხადებული ფასები. აგრეთვე, სარეალიზაციოდ არ იყო გამოტანილი 13 ცალი მამაკაცის საცურაო ტრუსი, ხოლო მამაკაცის სპორტულ პიჯაკს მოგლეჯილი ჰქონდა სახელმწიფო იარლიყი.

ობიექტში დაშვებულ ხარვეზებზე პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად გადაეგზავნა „სპორტკულტსაქონლის" ზუგდიდის გაერთიანების დირექციას.

ჰე, მამულო, ბრძნობა შენი მოვლისა!

# აკვნების სიმრავლით გავძლიერდეთ

დედამიწის ზურგზე ალბათ ძნელად მოიძებნოს სხვა ერი, რომელსაც ისტორიული არსებობის ნარ-ეკლიან გზაზე იმდენი ძნელბედობა განეცადოს, რამდენიც ქართველ ხალხს. ვის არ ეწადა მისი „აცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტი" მიწის მიტაცება, ხალხის დამონება, მისი საოცრად თვითმყოფადი კულტურის მიწასთან გასწორება. მტერმა იცოდა, რომ ენა და სარწმუნოება ქართველთათვის უპირველესი სალოცავი იყო, და ამიტომაც მისი მახვილი სწორედ ამ ორი წმიდათაწმიდა ხატის დამხობისაკენ იყო მიმართული. მაგრამ ვერც რომისა და ბიზანტიის ძლევამოსილმა იმპერიებმა, ვერც სპარსთა და ოსმალთა ურდოების გამუდმებულმა შემოსევებმა ვერ გატეხეს ქართველობა. ვერ შეძლეს ეს, რამეთუ გაჭირვების ჟამს ჩვენს ხალხს ერთ მძლავრ მუშტად შეკვრა, შეუვალი ერთსულოვნება, მამულისთვის უყოყმანო თავგანწირვა სჩვეოდა.

როცა განვლილი საუკუნეების ქარტეხილებს, სისასტიკითა და ვერაგობით აღბეჭდილ პერიოდებს გონების თვალით ვაანალიზებთ, ყოველი ჩვენგანის წინ ერთი ასეთი კითხვა იბადება: სად პოულობდა ერი ამდენ შინაგან ძალას, თვითგადარჩენის ცხოველმყოფელ ჟინს? უპირველეს ყოვლისა ერთადერთი და სათაყვანებელი მამულის განცდაში, რაც მთელი სიმძაფრით ჰქონდა გაცნობიერებული მუდმივ ხმალთაკვეთებაში ჩამდგარ ჩვენს წინაპარს. ის იცავდა თავის უზენაეს უფლებას საკუთარ მიწა-წყალზე, თავის მატერიალურ და კულტურულ ღირებულებებზე. ფაქტიურად, ერის ძალისხმევა მიმართული იყო ქვეყნის დემოგრაფიული სტაბილურობის შენარჩუნება-განმტკიცებისაკენ, მიწათმოქმედების საუკუნოვანი კულტურის, განსახლების სისტემის, ხალხური ტრადიციების და ადათწესების ურყევად შენარჩუნებისაკენ.

მთელი საუკუნე შედარებით უფრო „შეღავათიანი" გამოდგა ჩვენი ხალხისათვის. თუმცა ტრაგიკული კატაკლიზმები, სისხლი და აბუჩად აგდება, შიშის ფსიქოზი და შევიწროება არ დაგვკლებია. გარეშე მტერთა შემოსევები თითქოსდა აღარ გვიგრძვნია, მაგრამ შინაური მტერი, ზურგში მზაკვრულად მახვილის ჩამცემი ყოველთვის გვყავდა. დიახ, ჩვენს თვალწინ, ჩვენს გვერდით არხეინად დააბიჯებდა მოძალადე და ფარულად, პირზე ღიმილით აკეთებდა თავის ბინძურ საქმეს. იქნებ ვინმეს ქარაგმად მოეჩვენოს ჩვენი ნათქვამი და იკითხოს: მაინც ვინ იყო ეს მოძალადე და ავისმოსურნე? კეთილი. პასუხი არ გაგვიჭირდება. განა შეიძლება ქართველი ხალხის კეთილი ნების გამოხატულებად ჩავსახოთ საბჭოთა რუსეთის მიერ თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს ანექსია. აბა ვის შეუძლია გაზომოს ან აწონოს ის სულიერი, თუ ეკონომიური ზიანი, რაც ამ აქტით და შემდგომი პერიოდებით მიადგა ჩვენს რესპუბლიკას. სტალინური კოლექტივიზაციის სალტეები ქართულმა სოფელმა, ჩვენმა გლეხობამ ენით უთქმელი სისასტიკით განიცადა. მოიშალა მეურნეობრიობის მამაპაპური წესები, საწარმოო და ეკონომიკური ურთიერთობის სისტემა. ცხოვრების ყველა რგოლის იდეოლოგიზირებით, ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული შეზღუდვებით შეჭირვებული მოსახლეობა ვერ ახერხებდა თავისი სულიერი და მატერიალური პოტენციის მაქსიმალურად გამოვლინებას.

განა ერის განვითარებას არ აფერხებდა იგივე საბჭოური ფედერაციის კაბალური პრინციპებით გზახსნილი განუკითხაობა, მრავალი უკანონო ქმედებანი? რამდენი ვნება მოგვაყენა ცუდად გაგებულმა ინტერნაციონალიზმის პოლიტიკამ, რომლის არსში ჩაბუდებული ანომალიები დღემდე მწარედ გვახსენებენ თავს.

დღეს მეტად რთული, დაძაბული ვითარებაა საქართველოში. ისინიც, ვინც მოყვრებად მიგვაჩნდა, ჩვენსკენ სამტროდ მოიწევენ, ძირძველ ქართულ მიწებს გვედავებიან. ასეთ უკანონობას და უმადურობას ჭერჭერობით უძლებს ჩვენი ხალხი და მომავალშიც უნდა გავუძლოთ. მოშურნეებთან და მოძალადეებთან ბრძოლის ათასი გზა არსებობს. ქართველობას გონით ფხიზლობა, მოსალოდნელ მოვლენათა წინასწარ განჭვრეტის ალღო იშვიათად ღალატობდა და იმედია, არც ამჟამინდელი გაჭირვების წინაშე შედრკება. მაგრამ ერთი რამ გამოკვეთილად უნდა ვიგრძნოთ ყველამ. ვიგრძნოთ, როგორც გამორჩეულად აღსაქმელი საშიშროება. ჩვენი უპირველესი მტერი ჩვენი სიმცირეა. ერის მატების ტემპი დამაღონებელია. ამას ხედავს ავისმოსურნე და მთავარ დარტყმას სწორედ დემოგრაფიულ უღონობას, ჩვენს აქილევსის ქუსლს უმიზნებს..

ამიტომ ყოველი ქართველის ვალია ღრმად გაიცნობიეროს ეს საშიშროება. მხოლოდ ფხიზლად ყოფნით, შეუსუსტებელი კონტროლით, ქმედითი, რეალური ღონისძიებებით უნდა უზრუნველვყოთ ეროვნული ორგანიზმის მთლიანობა და დაურღვევლობა, იმ დემოგრაფიული გართულებების მოწესრიგება, რაც თუნდაც ჩვენი ქალაქისა და რაიონის სინამდვილეშიც იკვეთება.

მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ქალაქში ამ მხრივ პოზიტიური ძვრები შეიმჩნევა. შემუშავებულია ქალაქის რეგიონალური დემოგრაფიული პროგრამა. საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დასახულია ქალაქში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების ღონისძიებები. პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით რაიონშიც, რომელსაც დემოგრაფიული რესურსების ამოქმედების გაცილებით მეტი შანსი გააჩნია. ზუგდიდის ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად დამტკიცებამ ერთიორად უნდა დააჩქაროს აღნიშნული პროცესი, მართვის ერთიან პოლიტიკას დაუქვემდებაროს იგი.

შეუძლებელია კმაყოფილება არ მოგვანიჭოს ცალკეული საწარმოების და ორგანიზაციების აქტიურმა, ჭეშმარიტად მამულიშვილურმა პოზიციამ დემოგრაფიული საკითხებისადმი. ამ მხრივ მისაბაძი არიან: საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვი", სარემონტო მექანიკური კომბინატი, ჩაის კომბინატი, ლუდისა და ხილეული წყლების კომბინატი, ინგირის, ახალსოფლის, ნარაზენის კოლმეურნეობები და ა. შ. მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას: ამ მხრივ შრომითი კოლექტივების ძალისხმევას მეტი დინამიზმი და ინტენსივობა უნდა მიენიჭოს. მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი ზუგდიდში აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას. ყოველგვარი პირობა უნდა შევუქმნათ ჩვენს მოქალაქეებს თავიანთი საოჯახო პრობლემების წარმატებით გადაჭრისათვის. მოსახლეობის ოპტიმალური აღწარმოების პოლიტიკის რეალიზაცია, საერთოდ დემოგრაფიული საკითხების დადებითად გადაწყვეტა საქართველოს მოღონიერებას, მის გაძლიერებას ნიშნავს. კარგად ითქვა ამის შესახებ: ჩვენს მტრებს აკვანთა სიმრავლით დავამარცხებთო.

მაშ, იმრავლოს ჩვენს მამულში აკვნებმა, „ქართლის დედის" საპატიო წოდებით დამშვენებულმა მანდილოსნებმა.

ზ. ცხონდია.

ნეტავი შვილთა მრავალთა...

## ეხვაიების დიდი ოჯახი

სიცოცხლის ხალისი და სიყვარული არ მოკლებია მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონთ ორსანტიელ ეთერ პაპასქუასა და ოტელო ეხვაიას. ხუთი ქალიშვილი და ერთი ვაჟი მათი სიმდიდრე. შვილიშვილები ექვსნი არიან, ექვსივე მარგალიტივით ბავშვები..

ოჯახის დედა ორმოცდახუთი წლისაა. იგი კოსმეტოლოგია და კარგად იცნობენ ქალაქელები. სასტუმრო „ოდიშთან" არსებულ „სილამაზის კაბინეტში" ავლენს თავის ოსტატობას, საუკეთესოდ ფლობს კანის მოვლის ხელოვნებას, ამასთან შესაშური მეაბრეშუმე და პარკის უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატიც.

ქალთა საბჭოს აქტიური წევრი ბავშვთა ქომაგი და დამცველია. უშურველად შეაქვს თავისი დანაზოგი ბავშვთა დახმარების ფონდში.

ჯანსაღი, ლამაზი ოჯახი სოფლის მშვენებაა. ეს უცილოდ ითქმის ეხვაიების დიდ ოჯახზე. საქართველოს ხომ ჯანსაღი თაობები სჭირდება.

ნ. წყაგელია,
ორსანტიის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე.

## სპორტი

# ზუგდიდელები ფინალში

26 მაისიდან 31 მაისამდე ლაგოდეხში მიმდინარეობდა აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური პირველობა ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებს შორის ფეხბურთში 1976-78 წლებში დაბადებული მოზარდებისათვის.

ზუგდიდის რაიონიდან შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ახალსოფლისა და რუხის სპორტული სკოლის ნორჩი ფეხბურთელები.

პირველ ტურში შედარებით სუსტი წინააღმდეგობების დაძლევა მოუწიათ რუხელ ნორჩებს (მწვრთნელი რ. წულაია).

ასინო მასპინძელთა გუნდს შეხვდნენ, მსაჯი ადგილობრივი პირი იყო, რუხელებს 2:0 მიჰყავდათ ანგარიში, მაგრამ მსაჯის ცხადი მიკერძოებისა და ფეხბურთელთა უხეშობის გამო იძულებული გახდით თამაში შეგვეწყვიტა, შემდეგ ხელმძღვანელების ჩარევით კვლავ გაგრძელდა იგი, მაგრამ დამთავრდა რუხელთა წაგებით 4:0.

მიუხედავად ასეთი ფსიქოლოგიური და მორალური ზეწოლისა, ჩვენმა ნორჩებმა მაინც არ დაკარგეს ბრძოლის უნარი. მათ შემდგომ ეტაპზე დაამარცხეს ხელვაჩაურის გუნდი 4:1, სიღნაღის გუნდი 3:2 და ნახევარფინალში კვლავ მასპინძელთა გუნდის პირისპირ აღმოჩნდნენ, თამაშს კვლავ ადგილობრივი მსაჯი წაუძღვა—ძირითადი დრო დამთავრდა რუხელთა სასარგებლოდ 2:1, მაგრამ მსაჯს თამაში არ შეუჩერებია, სანამ ანგარიში არ გათანაბრდა. დაინიშნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმოები, გოგიტა თოდუას ზუსტმა დარტყმამ გუნდს ფინალში თამაშის უფლება მოუტანა (6:5). შემდეგ კი გამართა ზუგდიდელთა ფინალიც, ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ (2:2), დაინიშნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმოები, სადაც ახალსოფლელი ნორჩები უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:4.

სპეციალისტების მოწონება და ყურადღება დაიმსახურეს ახალსოფლელებმა გ. ჯოჯუამ, ს. ხარებავამ, რუხელებმა—ძმებმა თოდუებმა, ზ. ჯანაშიამ, ბ. ნაჭყებიამ. გოგიტა თოდუა, რომელიც 1979 წელს არის დაბადებული, შეყვანილია საქართველოს ნაკრებ გუნდში, რომელიც ავსტრიაში ტურნირებს გამართავს საფრანგეთსა და ფინეთში.

ეს მიღწევა ზუგდიდის რაიონის ფეხბურთის სკოლის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

იმედია ფეხბურთის გულშემატკივრები ჩვენს ნორჩებს მალე ეროვნულ ჩემპიონატებშიც იხილავენ.

**დ. ბაჯაჯანოვი,**
**რუხის სპორტული სკოლის დირექტორი.**

---

**შს ზუგდიდის საქალაქო განყოფილების დაცვის განყოფილების ხელმძღვანელობა გატყობინებთ, რომ აღნიშნულ განყოფილებაში ირიცხება ვაკანტური ადგილები ობიექტის დაცვის დარაჯების, გასამხედროებული დაცვის მსროლელების და რიგითი მილიციელების შემადგენლობისათვის.**

**გთხოვთ მსურველებს მიმართონ დაცვის განყოფილებას მისამართით: ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. №54, ტელ. 2—29—84, 2—22—95.**

**დაცვის განყოფილება.**

---

### ძვირფასო ზუგდიდელებო!

**დღეიდან 17 ივნისამდე ქ. ზუგდიდში გასტროლებს მართავს როსტოვის ზოოცირკი.**

**დემონსტრირებულ იქნება მსოფლიოს ყველა ქვეყნის ცხოველები. მუშაობს ატრაქციონი და ექსპრესფოტო.**

**ზოოცირკი დაბინავებულია ჩხოუშიის მარცხენა სანაპიროზე. იგი მუშაობს ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 21 საათამდე.**

**თქვენ გელით სასიამოვნო სანახაობა, ეწვიეთ ზოოცირკს.**

**ზოოცირკის დირექცია.**

---

# გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი

ერთ-ერთ საგაზეთო წერილში მასზე ეწერა: „...ერთი „ნაკლი" აქვს ამ გულმართალ ოსტატს—ყველაზე ადრე მოდის სტამბაში და ყველაზე გვიან მიდის..."



ახლა იგი ორმოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში. იროდი ბულია, მცირეწლოვანი ოდიშელი ობოლი ბიჭი სტამბის მაშინდელმა დირექტორმა ირაკლი დგებუაძემ ასთამწყობად მიიღო. ნიჭიერი აღმოჩნდა შეგირდი. შემდეგ დამკაბადონებლის პროფესიასაც დაეუფლა და ახლა... ნახევარ საუკუნეზე მეტი იმოღვაწა მან, იშრომა და დაიხარჯა ჩვენს სტამბაში.

წლების მანძილზე უანგარო შრომისათვის კომუნისტს 1948 წლიდან, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება, ჰქონდა ჯილდოები, სიგელები, ოფიციალური და სიტყვიერი მადლობები...

ყველაზე დიდი დამსახურება გაცილდათ ის ზღვა ცრემლი, რაც მისმა აღზრდილებმა დაღვარეს მისი უეცრად გარდაცვალების შეტყობისას.

იროდის ბევრჯერ უთქვამს ალალად: ერთი დღე ნუ მაცოცხლა უსტამბოდო. მართლაც რომ ვერ იცოცხლა ერთი დღეც.

ის ბედნიერი მამა იყო. ბედნიერად გრძნობდა თავს თავის კოლექტივში. მუშათა კლასის ღირსეულ წარმომადგენელზე მრავალტირაჟიან გაზეთ „ენგურის ჩირაღდანში" ეწერა: ეს გაზეთი მის ხელში დაიბადა, გაიზარდა, რედაქციის მუშაკებს ხშირად გვიკითხია ერთმანეთისთვის: რა ეშველება ჩვენს გაზეთს იროდის გარეშე...

ბატონ იროდის შეცვლიან მისი აღზრდილები, მაგრამ ზუგდიდის სტამბაში მოსულებს აღარ დახვდებათ მუდამ მომღიმარი, მშვიდი და ბალიშიანი დამკაბადონებელი.

მის სამუშაო დაზგასთან მოვა ახალი თაობა, აეწყობა და დაკაბადონდება ახალი გაზეთები, მასში იქნება მისი სულის ნაწილიც, რამე თუ იგი მან ჩვენთან დატოვა...

**ზუგდიდის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების კოლექტივი, გაზეთ „ოდიშის" რედაქცია.**

---

# პ. დ. აბსანძე

გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი პლატონ დოროთეს ძე აბსანძე.



იგი დაიბადა 1912 წელს სოფელ ერგეტაში. ქ. ზუგდიდის ცხრაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც აგრონომის კვალიფიკაციით დაამთავრა. პ. აბსანძე 1935 წელს მუშაობას იწყებს ზუგდიდის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში აგრონომად. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა ნარაზენის აგროუბნის აგრონომად, ორულუს უბნის აგრონომად. 1941 წლიდან არმიის რიგებშია. ბაქოს საოფიცრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იბრძოდა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულ იქნა 1945 წლის დეკემბერში.

1946 წლიდან მშვიდობიანი შრომის ფერხულში დგება. იყო ნარაზენისა და ინგირის საბჭოთა მეურნეობების აგრონომი. თავისი ხანგრძლივი შრომითი საქმიანობის მანძილზე პ. აბსანძე გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებით, მაღალი პასუხისმგებლობით, თანამოსაქმეებს შორის სარგებლობდა სიყვარულითა და პატივისცემით. დაჯილდოებული იყო სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით, სხვადასხვა მედლით, იყო სოფლის მეურნეობის საკავშირო გამოფენის არაერთგზის მონაწილე და გამარჯვებული.

პლატონ აბსანძის, როგორც გულისხმიერი, პატიოსანი და კეთილი ადამიანის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

---

**რედაქტორის მოადგილე**
**ზ. ცხონდია.**

---

შვილები: თამარი, ლუდუკი, რძლები ნორა ოისავა, თამარ ხაზალია, შვილიშვილები: ხათუნა ქარაია, ნანა, თეკლე, ზურაბი ბარქაიები, დისშვილები: მიცო, ლალუ, თამარი, ლიპარიტ ქანთარიები, ძმისშვილები: მერი, ნაირი, ბონდო ბუკიები, გაზრდილი მირა ფელტლავაა, მაზლიშვილები: კაკა, მურა, შალვა ბარქაიები, ჟუჟა, ნიკო, შუხუხი ქორთუები, ბიძაშვილები: ბიჭიკო, მეგონა, ზონდო, ქონა ჭითანავები ოჯახებით იუწყებიან

**ნუშნა (ცარუ) ორესტის ასულ ჭითანავა-ბარქაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14, 15 ივნისს. დაკრძალვა 16 ივნისს სოფელ ურთაში (ჯუმის უბანი)

---

მეუღლე გემოშა, შვილები: ლოთი, ლიანა, რძალი რუსიკო ჩხეტია, სიძე ფრიდონი უჩავა, შვილიშვილები: ალიკა, ლაშა, მონიკა, გოგა იუწყებიან

**დიდიკო პეტრეს ძე ჯოქიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14, 15 ივნისს. დაკრძალვა 16 ივნისს სოფელ ერგეტაში.

---

მეუღლე ეთერი, შვილები მარინე, მედიკო, დები ამალია, მზია ჩახაიები, დისშვილი თენგიზ ერიშვილი, რძალი ლალი, ბიძაშვილი ბოჩია ჩახაია, ცოლისდები: მერი, გული, თინა, თამარი, ცოლისძმები ოთარი, გურამი, ორდენი კუკავები ოჯახებით იუწყებიან

**მურმან პორფილეს ძე ჩახაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14, 15 ივნისს. დაკრძალვა 16 ივნისს გამოსვენება ზუგდიდი, ჩიტაძის ქ. 142-დან.

---

შვილები: მამია, კონდრა, რაული, ნანული, როზა, რძლები: ლეილა, ნატრული, მაისა, სიძეები: პოლიკო შამათავა, იმედი ლვინჯილია, შვილიშვილები: დალი, რომანი, ვეფხვია, დათო, ხვიჩა, ნინო, მარიკა, კობა ხარებავები, დოდო, ლერი, მანანა, გურამი შამათავები, პაატა, გოგა ლვინჯილიები, დისშვილები, ძმისშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ტატიანა სვიმონ ასულ ცაავა-ხარებავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14, 15 ივნისს. დაკრძალვა 16 ივნისს, გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ლომოურის ქ. 38.

---

მეუღლე მერი, შვილები: ქეთინო, რამაზი, რევაზი, და ხათელა, ძმები: დავითი, სერო ჩახაიები, რძლები: იზო, ეთერი, ელისო, შვილიშვილები: ქრისტინე, ვერიკო, პაპუნა, დეიდა ქსენია, ძმისშვილები: მანონი, ელისო, ელგუჯა, დისშვილები: დალი, თამრიკო, ეკა გერსამიები, სიძეები: სერგო გერსამია, ბადრი შედანია, გოჩა ბულია, ბიძაშვილები: ცუცა, ნაზო, ნიუტონი, ცოლისძმა შაბი ქობალია, ცოლისდები: ნუცა, ვერჩკა, ქსენია, ლუცია, ნანული, მზახლები ხულიკო, ლუდო შამუგიები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**რადიონ პლატონის ძე ჩახაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16 ივნისს. დაკრძალვა 17 ივნისს სოფ. კახათში.

---

შვილები: იზოლდა, მზია, ანზორი, რევაზ ხუფენიები, და ლუნა, ძმები დავითი, შოთა, ოთარი ქვარაიები, მული ვარდიშა ხუფენია, რძლები მარინა გოგია, ნანი ხასია, სიძეები ნუსრეთი მაქაცარია, ზური ცომაია, გრიშკო ცქვიტაია, შვილიშვილები: ლალა, მაია, გია მაქაცარიები, შორენა ცომაია, ხათუნა, გურამი, რომანი ხუფენიები, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**თამარა პლატონის ასულ ქვარაია-ხუფენიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16 ივნისს. დაკრძალვა 17 ივნისს სოფელ დარჩელში.

---

მეუღლე ალექსანდრე, შვილები: ლონტო, ჯუმბერი, ნუცა, რძლები: ნორა, ნათელა, ლენა, დალი, მაზლი არსენა ჯოჯუა, ძმისშვილები: ქუკური, ზაირა, ლუთვია ჭითანავები, დისშვილები: ცუცა, თინა, გული, ლიანა მალაზონიები, მაზლიშვილები: ქუქუნა, ცისანა, იუზა, რუზენი, თორნიკე ჯოჯუები, შვილიშვილები ელისო, დილიკო, ელგუჯა ჯოჯუები, თამაზი, ნაზი, ლილი ოზორიები, მამუკა, ნონა, ნინო ყუფუნიები, სიძეები შალვა ოზორია, დათო შენგელაია, დათო [illegible], ვალერი ჯობავა იუწყებიან

**ჭარგო (ლიკა) ჩიქოდის ასულ ჭითანავა-ჯოჯუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14, 15 ივნისს. დაკრძალვა 16 ივნისს ს. [illegible]

---

[illegible] ლიანა, [illegible], შვილი მურაზი, [illegible] ნაირა, [illegible] ძმები: ოსური, ზაური თოდუები, ჯემალი, ვალიკო, გია, ნოდარი, კორნელიები, რომანი ბოკუჩავა, თემური პირველაშვილი, [illegible] ლეუშკა ხუფენიები, [illegible] ლილი, ნანული, ანა, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

**გია პეტრეს ძე თოდუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14, 15 ივნისს. დაკრძალვა 16 ივნისს, გამოსვენება ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქ. 83-დან 18 საათზე.

---

მეუღლე ლუსიანე, შვილები: ნუგზარი, ჭაჭანა, ელისო ბიგვავები, და ანეტა სანგია, შვილიშვილები: ანა, ლაშა ქაჯაიები, სიძეები მურთაზ ქაჯაია, იუზი ჩიკვაიძე, კოკი ქვარცხავა, ლეკო ჩიკვაიძე, რძლები: ნათელა სოფრომაძე, მაია ბიგვავა, მაზლები: ვალიკო ბიგვავა, ივერია სოფრომაძე, მულები: მარუსია, ლუნა ბიგვავები, დისშვილები: რევაზი, გენადი, ალბერტი ჯანჯღავები, მაზლიშვილები: ლალი, როზა, ჯამბული ბიგვავები, ვალერი, გენადი, ნატრული, ნანული, ნამიზა, გელა სოფრომაძეები, მულიშვილები: დათო, ჯონი ჩიკვაიძეები, ლამარა, დოდო, დალი, ნუნუ ქვარცხავები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ნუცა (ანტისა) ძუკუს ასულ სანგია-ბიგვავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16 ივნისს. დაკრძალვა 17 ივნისს სოფ. ნარაზენში.

---

მეუღლე იროდი, შვილები გოგუცა, კარლო, ზაური ფიფიები, რძლები: ზოია როგავა, ლენა ფიფია, ქენია, ლონტო, ნათელა, ნაირა, ნინო კვლიშვილი, შვილიშვილები: დათო, ირმა ბელქანიები, ფრიდონი, დავარი, ტატო, ლიანა, რომანი ფიფიები, შვილთაშვილები: ანა ფიფია, თამუნა კუპუნიძე, ძმისშვილები: ლაისო, ანო, ლეთერი, მალინა ხასაიები, დისშვილები: ქუქუნა, ვენერა, ტატიანა, ტარიელი, მამია გვარამიები, მაზლი ბიქტორი ფიფია, მაზლიშვილები: მანდაშა, გურიელი, ლეთერი, ზაირა, ნაირა, ლუიზა, ქუჩუ, ნუგზარი, ლეილა ფიფიები, მულისშვილი ნუნუ შონია, სიძეები მამუკა კუპუნიძე, ვეფხია ბიგვავა ოჯახებით იუწყებიან

**ანტისა კოწიას ასულ ხასაია-ფიფიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14, 15 ივნისს, დაკრძალვა 16 ივნისს 6 საათზე, გამოსვენება ქ. ზუგდიდი, როგავას ქ. 16.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის —2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის —2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12, რადიორედაქციის —2-17-00

საქ. სსრ გამსახკომის ზუგდიდისტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000. შეკ. №2942